პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 19 (9487) | პარასკევი, 23 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის, გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციური მეცნიერების დიდი კორიფეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 29-ე წლისთავს.

ლენინის საქმე უკვდავია, იგი ცოცხლობს და იმარჯვებს. ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანი ლენინის სახელს უკავშირებს ყველაზე სანუკვარ თავის ოცნებას, მისწრაფებებსა და იმედებს. დიდი ლენინის სახე ცოცხლობს ყველა ქვეყნის მშრომელთა გულში, შეგნებაში, აღაფრთოვანებს მათ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ლენინმა პარტიას და ხალხს დაუტოვა უკვდავი საგანძური — დიადი და უძლეველი მეცნიერება ახალი სამყაროს მშენებლობის შესახებ, რომელსაც დაუცხრომლად ავითარებს და ამდიდრებს ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი, ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

ლენინმა შექმნა და აღზარდა კომუნისტთა დიადი პარტია, კაპიტალიზმის დამმგრეველთა პარტია, ყველა ჩაგრულისა და დამონებულის განმათავისუფლებელთა პარტია, კომუნიზმის მშენებელთა პარტია.

„ჩვენ, კომუნისტები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მახასიათებლებით. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას“.

ლენინ — სტალინის პარტიამ, რომელიც აღაფრთოვანებდა და რაზმავდა საბჭოთა ხალხს სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად, განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სამშობლოს მომავლისათვის, იმისათვის, რომ იგი გადაქცეულიყო მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში პარტიამ გაანადგურა ტროცკისტ-ბუხარინელი მახინჯები, კაპიტულანტები და გამცემლები, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ ჩვენი ქვეყანა ლენინის გზისათვის.

ლენინი მუდამ ზრუნავდა პარტიის ერთიანობისათვის, მისი რიგების სიწმინდისათვის, პარტიის წევრის წოდების ამაღლებისათვის. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პარტია მტკიცედ ახორციელებს ამ ლენინურ პრინციპს. კომუნისტური პარტია შეადგენს თანამოაზრეთა მებრძოლ კავშირს, ძლიერს თავისი დარაზმულობით, ორგანიზებულობით, უსაზღვრო ერთგულებით ლენინ — სტალინის დიადი საქმისადმი, თავისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

მაშინ როცა ლენინი ჩვენგან წავიდა, საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო, გარშემორტყმული ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოკეანით. პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი სამშობლო გადაიქცა მძლავრ მსოფლიო სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც სათავეში უდგას დემოკრატიისა

○

„პრავდის“ 22/I მოწინავე

○

და სოციალიზმის დიად საერთაშორისო ბანაკს.

თავის ისტორიულ სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა თქვა, რომ ჩვენმა პარტიამ ღირსეულად გაამართლა მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადის“ საპატიო წოდება. ბრძოლისა და გამარჯვებათა განვლილი გზის შედეგად გაჩნდნენ ახალი „დამკვრელი ბრიგადები“ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით. საბჭოთა კავშირთან ერთად ახლა ერთიან ფრონტში არიან დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის რიგებში ითვლის შვიდ მილიონამდე წევრსა და კანდიდატს. მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა პარტიებში ოცდაოთხ მილიონზე მეტი კაცია. ეს დიდი ძალაა, რომელსაც მიჰყვება ასეული მილიონობით მშრომელი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ ცხადყო მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი ჩვენი ხალხისა, რომელმაც დიდ სამამულო ომში დაიცვა თავისი სამშობლოს თავისუფლება, ღირსება და დამოუკიდებლობა და მოიპოვა შესანშნავი წარმატებანი მშვიდობიან მშენებლობაში.

ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გენიალურ თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით პარტიის XIX ყრილობამ განსაზღვრა პარტიის მთავარი ამოცანები, დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

სტალინის იდეებით, ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას მეხუთე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ გამარჯვებებს აღწევდა და აღწევს იმიტომ, რომ იგი ყველაფერში და ყოველთვის ერთგულია ლენინიზმისა, იმიტომ რომ იგი წმიდად იცავს და ახორციელებს ლენინის ანდერძსა და წინასწარდასახულობებს. მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომლითაც ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს, განუწყვეტლივ ვითარდება და მდიდრდება ახალი გამოცდილებით. ახალი ეპოქის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის შესაბამისად ლენინიზმს შემდგომ ავითარებს თავის გენიალურ შრომებში პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

პარტია მშრომელებს ზრდის შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, ავითარებს და სრულყოფს ჩვენი ადამიანების საუკეთესო თვისებებს — ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, გამარჯვების რწმენას, მზადყოფნას ებრძოლონ ყოველგვარ სიძნელეს და გადალახონ ისინი.

ლენინი და სტალინი საბჭოთა ადამიანებს ასწავლიან არ გაყოყოჩდნენ, არ მიეცნენ უდარდელობისა და უზრუნველობის გრძნობას, ახსოვდეთ და არასოდეს არ ივიწყებდნენ, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი წარმატებანი, მით უფრო ვერაგი და საზიზღარია ბრძოლის მეთოდები და ხერხები, რომლებსაც მტრები იყენებენ, რათა ხელი შეუშალონ ჩვენს წინსვლას. პირველი გაკვეთილი, რომელიც უნდა შეითვისოს ყველა მუშამ და გლეხმა, ყველა მშრომელმა, ამბობდა ლენინი, — ეს ის არის, რომ ფხიზლად იყოს, მუდამ ახსოვდეს, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ ისეთი ადამიანებით, კლასებით, მთავრობებით, რომლებიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. არავითარი დოყლაპიობა და უდარდელობა არ უნდა იყოს ჩვენს რიგებში. ჩვენში ჯერ კიდევ არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, კერძო-მესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ნაშთები, ჯერ კიდევ არიან ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ბურჟუაზიული მორალის მატარებლები — ცოცხალი ადამიანები, ჩვენი ხალხის ფარული მტრები. მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე მუდმივმოქმედი იარაღი უნდა იყოს სოციალიზმის ყველა და ყოველგვარი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც კაპიტალისტურ ბანაკს მეთაურობს, ყველაზე რეაქციული და შავბნელი ძალაა, ხალხთა თავისუფლების ჯანდარმი და ჩამხშობია. ამერიკელი იმპერიალისტები აწყობენ შეთქმულებებსა და პროვოკაციებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, გზავნიან ამ ქვეყნებში თავიანთ ჯაშუშებს, დივერსანტებს, მკვლელებს, ცდილობენ დააშინონ ჩვენი ხალხი და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

საბჭოთა ადამიანებს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს არ ეშინიათ ომის გამჩაღებელთა მუქარისა. საჭიროების შემთხვევაში ისინი შეძლებენ გამანადგურებელი პასუხი გასცენ ყოველგვარ აგრესორს. თანმიმდევრულად აწორციელებს რა ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი განამტკიცებდა და კვლავაც განამტკიცებს თავის თავდაცვისუნარიანობას, აძლიერებს თავის სიფხიზლეს ომის გამჩაღებელთა და მათი აგენტურის ხრიკების წინააღმდეგ.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ დიდი ლენინი წერდა:

„დაე ბურჟუაზია ბორგავდეს, ბრაზობდეს და ცოფებს ყრიდეს, ამლაშებდეს, სისულელეებს სჩადიოდეს... ასე რომ იქცევა, ბურჟუაზია იქცევა ისე, როგორც იქცეოდა ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირული ყველა კლასი. კომუნისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მომავალი ყოველ შემთხვევაში მათ ეკუთვნით, და ამიტომ დიად რევოლუციურ ბრძოლაში უდიდესი მგზნებარეობა ჩვენ შეგვიძლია (და უნდა) შევაერთოთ ბურჟუაზიის გააფთრებული ბორგვის უაღრესად დინჯ და ფხიზელ გათვალისწინებასთან“.

ლენინ — სტალინის გენიამ ყველა ხალხს უჩვენა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთადერთი სწორი გზა. ამ გზას უკვე ადგას კაცობრიობის მესამედი. ამ გზას გარდუვალად დაადგებიან მთელი მსოფლიოს ხალხები.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინ — სტალინის პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ლენინის საქმის დიდ განმგრძობს, ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲗᲐ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲝᲓ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ
დავრენტი პავლეს-ძე ბერია — ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე კლუბის ვრცელი დარბაზი ხალხით გაიჭედა. აქ მოვიდნენ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოსამსახურეები, რათა განახორციელონ სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლება — დაასახელონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები.

სრულ 6 საათზე ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ღვინიაშვილი წინასაარჩევნო კრებას გახსნილად აცხადებს.

სიტყვას ილებს ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გ. ქომეთიანი.

— საბჭოთა ხალხი, — ამბობს იგი, — არჩევნებისათვის ემზადება უჩვეულო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. ეს აღმავლობა გამოწვეულია პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ყრილობაზე დიდი ბელადის მიერ წარმოთქმული ბრძნული სიტყვით და მისი ახალი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომლებმაც დაგვისახეს წინსვლის დიადი, წარმტაცი პერსპექტივები.

მთელი საბჭოთა ხალხი დეპუტატობის პირველ კანდიდატად აღფრთოვანებით ასახელებს ჩვენი ეპოქის უდიდეს ადამიანს, მშობლიურ და უსაყვარლეს ამხანაგ სტალინს, ვისი გენიალური წინამძღოლობით ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა მოიპოვეს ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება, ვისაც ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიჰყავს წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

ყველა ჩვენს გამარჯვებას, ყველა ჩვენს მიღწევას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ჩვენ ვუმადლით დიდ სტალინს.

წინადადება შემომაქვს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 112 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას მშრომელი ხალხის დიდი ბელადი და ბრძენი მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

წინადადება შემომაქვს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 112 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. დიდია ამხანაგ ბერიას დამსახურება ჩვენი რესპუბლიკის წინაშე. საქართველოში მუშაობის პერიოდში ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით გაიფურჩქნა და აყვავდა ჩვენი რესპუბლიკა, უმაგალითოდ განვითარდა მისი სახალხო მეურნეობა და კულტურა. ჩვენ, საქართველოს მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, ყოველდღიურად ვგრძნობთ ამხანაგ ბერიას მზრუნველობასა და დახმარებას.

სიტყვები წარმოთქვეს ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტის გამგემ ამხ. ს. მიქაძემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა რ. დვალმა, მათემატიკის კათედრის ასისტენტმა ამხ. ლ. ქავთარაძემ, წარჩინებულმა სტუდენტმა ამხ. ე. ჩხიკვაძემ. მათ უდიდეს აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი წინადადებას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დიდი სტალინისა და ამხანაგ ბერიას დასახელების შესახებ და ილაპარაკეს იმ დიდ მზრუნველობაზე, რასაც კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი იჩენენ მეცნიერების განვითარების, ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების აღზრდის საქმეში.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო შემდეგი შინაარსის დადგენილება:

1. № 112 საარჩევნო ოლქში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსამსახურეებისაგან დასახელებულ იქნან ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი და ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

2. ეთხოვოს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს და ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას დათანხმდნენ კენჭი იყაროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 112 საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

დიდი აღფრთოვანებით მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

თბილისის მშრომელთა სიხარული

ᲮᲐᲚᲮᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ

○

როგორც კი საყვირმა სამუშაო დღის დამთავრება აუწყა, ლენინის სახელობის პარკისაკენ უწყვეტ ნაკადად დაიწყო დენა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების, დიასახლისების მრავალრიცხოვანმა კოლონებმა. საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე პარკი ხალხით გაიჭედა. აქ მოვიდნენ დიდი რევოლუციური წარსულის მქონე „ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები, კიროველი ჩარხმშენებლები, ავტოშემკეთებლები, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, საელმავლო დეპოს, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, რაიონის სხვა სამრეწველო საწარმოების, მრავალრიცხოვანი დაწესებულებების კოლექტივები. ლენინის რაიონის 20 ათასზე მეტი მშრომელი შეგროვდა მიტინგზე, რათა გამოეთქვათ თავიანთი სიხარული, რაც რაიონის მშრომელთა შორის გამოიწვია დიდი სტალინის თანხმობამ თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში.

მიტინგს მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ტატიშვილი. იგი კითხულობს დიდი სტალინის თანხმობის დეპეშის ტექსტს. პარკის ვრცელ ტერიტორიაზე ქუხს ხანგრძლივი ტაში და გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

სიტყვას პირველი ამბობს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი ამხ. ი. ჭუმბურიძე.

— უდიდესია ჩვენი ქარხნის კოლექტივის სიხარული, — აცხადებს იგი, — იმ ქარხნისა, რომლის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მოსამსახურეებმა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად პირველად დაასახელეს ამხანაგი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა პატივი დაგვდო, ნდობა გამოგვიცხადა, დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენთან — ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში. ეს გვავალებს უკეთესად ვიმუშაოთ, ვამრავლოთ წარმატებანი. პირადად მე, მეხუთე ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში 7 წლის ნორმა გამოვიმუშავე. პირობას ვაძლევ მშობლიურ სტალინს, რომ ხუთწლედის ბოლომდე 15 წლის ნორმას შევასრულებ.

პროფესორი გ. ინასარიძე ლაპარაკობს მეცნიერი მუშაკების, საბჭოთა ინტელიგენციის დიდ სიხარულზე, რომელიც გამოიწვია ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის თანხმობის მიღებამ.

— ყველა ჩვენგანის უდიდესი ბედნიერებაა ხმა მივცეთ მშობლიურ სტალინს, — ამბობს იგი. — ეს აღგვაფრთოვანებს ახალი შრომითი მიღწევებისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. საბჭოთა ადამიანებს ცხოვრების გზას გვინათებს ამხანაგ სტალინის გენია. სტალინი — ეს არის სიმბოლო კომუნიზმის გამარჯვებისა.

— ჩვენ, ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, — აცხადებს ქალთა 38-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. დემეტრაშვილი, — 22 თებერვალს უდიდესი აღფრთოვანებით ერთსულოვნად მივცემთ ხმას მშობლიურ სტალინს, მშრომელთა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების დიდ შემოქმედს. ჩვენ მგზნებარე, გულითად სალამს ვუძღვნით, ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს ვუსურვებთ დიდ სტალინს ხალხთა საკეთილდღეოდ.

— მე მოვედი აქ, — ამბობს ქალთა მე-19 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე თ. ლაღიძე, — რომ უფროსების ზეიმსა და სიხარულს შევუერთო ჩვენი ნორჩი თაობის წრფელი და მჩქეფარე გულისთქმა. უსაზღვროა ჩემი სიხარული, რადგან წელს პირველად მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში და ხმას მივცემ ახალგაზრდობის უსაყვარლეს მეგობარს დიდ სტალინს. ჩვენი ახალგაზრდების სახელით ფიცს ვდებ დაუღალავად ვისწავლით და ვიშრომებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— ჩვენ, საბჭოთა ამომრჩევლები, — აცხადებს საელმავლო დეპოს საამქროს ოსტატი ი. ტიურინი, — 22 თებერვალს ერთსულოვნად გამოვცხადდებით საარჩევნო უბნებში და ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს, ამით ხმას მივცემთ ლენინ — სტალინის დიად საქმეს, ჩვენს ბედნიერ აწმყოსა და წარმტაც მომავალს.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის, კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვრის ამხანაგ სტალინისადმი.

დიდხანს, დიდხანს არ წყდება მქუხარე ტაში და ოვაცია იმ ადამიანის პატივსაცემად, ვინც ხალხს ნათელი, ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა, — დიდი სტალინის პატივსაცემად.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა მიტინგზე.

ფოტო გ. კეირკველიანი.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲜᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 18 იანვარი. (საკდესი). ბულგარეთში სახალხო ხელისუფლების არსებობის მანძილზე ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი დიდი ტირაჟებით გამოიცა. უკვე 1944 წელს ვ. ი. ლენინის 5 ნაწარმოები გამოიცა 132 ათასი ცალი ტირაჟით, 1945 წელს — 9 ნაწარმოები 240 ათასი ცალი ტირაჟით, 1949 წელს გამოვიდა 13 ნაწარმოები 231 ათასი ცალი ტირაჟით, იმავე წელს მასობრივი ტირაჟით გამოიცა „რჩეული ნაწარმოებნი“. 1951 წელს დაიწყო რუსული მეოთხე გამოცემიდან თარგმნილ ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა. უკვე გამოვიდა 16 ტომი 320 ათასი ცალი ტირაჟით.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ განმეორებითი გამოცემისათვის მოამზადა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული ცხრა ტომად, რომლებშიც შედის მშრომელთა დიდი ბელადის ძირითადი ნაწარმოებნი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

სსრ კავშირის XX პირველობა ჭადრაკში, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1952 წლის დეკემბერში, დამთავრდა გროსმაისტერების მ. ბოტვინიკის (მოსკოვი) და მ. ტაიმანოვის (ლენინგრადი) გამარჯვებით, რომლებმაც ქულების ერთნაირი რაოდენობა მოაგროვეს.

ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების დებულების შესაბამისად მ. ბოტვინიკმა და მ. ტაიმანოვმა უნდა ითამაშონ ექვსი დამატებითი პარტია. ამ შეხვედრაში გამარჯვებულს მიენიჭება სსრ კავშირის 1952 წლის ჩემპიონის წოდება.

შეჯიბრება დაიწყება 25 იანვარს მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲔᲥᲘᲛᲘ Ღ. Შ. ᲨᲘᲛᲐᲨᲣᲙᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

იმ დახმარებისათვის, რაც მთავრობას გაუწია მკვლელ-ექიმთა მზილების საქმეში, ექიმი ლიდია ფედოსის ასული **ტიმაშუკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ᲨᲕᲔᲠᲜᲘᲙᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ა. ᲑᲝᲠᲙᲘᲜᲘ.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 20 იანვარი.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სვანიძე
დავრენტი პავლეს-ძე ბერია
ნიკოლოზ აღექსანდრეს-ძე ბულგანინი

20 იანვარს შედგა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას.

კრებას ხსნის ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანი ამხ. ა. ანდღულაძე.

სამპატიო პრეზიდიუმში კრება ერთსულოვანი ტაშის გრიალით ირჩევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობას დიდი სტალინის მეთაურობით.

სიტყვას იღებს ფაბრიკის დირექტორი ნ. თუშიშვილი, რომელმაც განაცხადა:

— პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში. ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტები გამალებით ემზადებიან ახალი ომისათვის, მაგრამ მათ წინააღმდეგ ხმას იმაღლებს მსოფლიოს მილიონობრივი პატიოსანი ადამიანი, რომელთაც სურთ მშვიდობა. ოკეანესგაღმელთა ყაჩაღური ხრიკები ჩაიშლება, რადგან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლას მეთაურობს ჩვენი ქვეყანა. მისი მედროშეა დიდი სტალინი.

— ჩვენი ხალხი, — განაგრძობს ამხ. თუშიშვილი, — მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ, და აძლიერებს რევოლუციურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება ლენინ — სტალინის სახელოვანი პარტიის, მშობლიური ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ამას მოწმობს ისიც, რომ მშრომელები ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ჩვენი პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულ, მოწინავე ადამიანებს.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის სახელით, — ამბობს ორატორი, — საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენს პირველ კანდიდატად ვასახელებ ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს საყვარელ სტალინს (ხანგრძლივი ტაში). ასევე მთელი სულითა და გულით ვასახელებ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს, ჩვენს საყვარელ ადამიანს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას. (ხანგრძლივი ტაში).

წინადადება შემომაქვს ჩვენი ფაბრიკის კოლექტივისაგან საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი. დარბაზში ქუხს ტაში დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ბულგანინის პატივსაცემად.

ფაბრიკის სამღებრო-საპარეტურო საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა, გურგენიძემ და სხვა ამხანაგებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ნ. თუშიშვილის წინადადებას.

* * *

ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა ფაბრიკის დირექტორი ნ. თუშიშვილი, ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ანდღულაძე, მაუდის საამქროს სტახანოველი მრთველი ლიდა კრასნოვა, კამვოლური საამქროს მრთველი ვარდო ჯოხაძე.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა სტალინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს საქსოვი საამქროს სტახანოველი მარიამ რაზმაძე, კამვოლური საამქროს უფროსი ს. ნოვიკი, სარეცხ-დამხარისხებელი საამქროს უფროსი რ. კიკვიძე, ფაბრიკის კადრების განყოფილების უფროსი გ. ხიტაროიძე, მქსოველი ანტონინა ჩუგუევა, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე პარასკევა ციცხვაია.

დასახელებულ კანდიდატებს მხარი დაუჭიროს ვ. ჯავახაძემ, ც. ბოსტოროლნაშვილმა, დ. ხვედელიძემ, გ. შევჩენკომ, ს. ამაშუკელმა, ვ. ჯორბენაძემ, ბ. ირემაძემ, ლ. ცაგურიშვილმა, ა. სურიელაშვილმა და ე. ძიძიგურმა.

ფაბრიკის კოლექტივმა დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

ქ. თბილისის სტალინის № 17 საარჩევნო ოლქი

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

რეგისტრირებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ხალხთა საყვარელმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა თანხმობა განაცხადა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში.

თბილისელთა დიდი სიხარული გამოიწვია აგრეთვე იმან, რომ ამხანაგ სტალინის თანამებრძოლმა, გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ მხურვალედ საყვარელმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თანხმობა განაცხადა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქ. თბილისის სტალინის № 17 საარჩევნო ოლქში.

ამ სასიხარულო ცნობის მიღებისთანავე 21 იანვარს შედგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების სტალინის № 17 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ე. წულაიამ.

— ამხანაგებო, დღეს დიდი სიხარული ეწია ჩვენი ოლქის ამომრჩევლებს, — ამბობს ამხ. წულაია, — დიდი სტალინის თანამებრძოლმა, ძვირფასმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თანხმობა მოგვცა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს სტალინის № 17 საარჩევნო ოლქში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

პირველი სიტყვა აიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის წარმომადგენელმა ამხ. ნ. შეყილაძემ.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი — თქვა მან, — უსაზღვროდ აღფრთოვანებულია იმის გამო, რომ თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მის მიერ დასახელებული ძვირფასი ადამიანი ამხანაგი ლ. პ. ბერია თანახმაა კენჭი იყაროს დეპუტატობაზე სტალინის № 17 საარჩევნო ოლქში. ამ დიდი ნდობის პასუხად ჩვენ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას, მოვიპოვებთ ახალ საწარმოო წარმატებებს.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით, — თქვა ამხ. შეყილაძემ, — ვთხოვ საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

— ამხანაგებო, — ამბობს ამხ. ბ. ბალიაშვილი, — ეს ამბავი ყველა ჩვენ ოლქში ამომრჩევლებს, — ამბობს ამხ. ბ. ბალიაშვილი, — ერთსულოვნად, ერთხმად, ენთუზიაზმით, ოვაციებით, ტაშის ქუხილით, ენერგიულად, ენერგიულად, ენერგიულად

მკვეთრად გავაღიდოთ ვენახების მოსავლიანობა, უზრუნველვყოთ ყურძნის უხვი, მყარი მოსავალი

«...ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება: ...ყურძნისა 55-60 პროცენტით ...ბაღებისა და საკენკრეების ფართობი კოლმეურნეობებში დაახლოებით 70 პროცენტით, ვენახებისა — 50 პროცენტით, ჩაის პლანტაციებისა — 60 პროცენტით და ციტრუსოვანი კულტურებისა — 4,5-ჯერ».

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებიდან.

«ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო ძველთაგანვე წარმოადგენდა ვაზის კულტურის ერთ-ერთ მთავარ მსოფლიო კერას და მის სამშობლოსაც კი, რომ მან უმდიდრესი ტრადიციები შექმნა მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში. ეს ჩვენ ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენ იმის ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ საქართველო გადავაქციოთ ლაბორატორიად, სკოლად საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებისათვის».

ა. ი. მგელაძე.

ჰექტარზე — 110 ცენტნერი ყურძენი

ბრძოლა ამუშავეს შარშან ლენინგორის რაიონის სოფელ წირქოლის კოლმეურნეობა „შრომის“ მევენახეებმა. თვითეულ ჰექტარ ვენახზე გეგმით გათვალისწინებული 43 ცენტნერის ნაცვლად 110 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ეს წარმატება მოიპოვა მევენახეობის ბრიგადამ, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ვაზის ოსტატი არჩილ ხალობეგაშვილი.

უკანასკნელი წლების მანძილზე წირქოლელებს ყურძნის უხვი და მყარი მოსავალი მოჰყავთ. როგორ აღწევენ ამას? რა ღონისძიებებს ახორციელებენ?

უწინარეს ყოვლისა ბრიგადირმა ხალობეგაშვილმა თავის ამხანაგებში განამტკიცა იმის შეგნება, რომ ამინდის ყოველგვარ პირობებში, თუ კი ვენახს კარგად მოვუვლით, შეიძლება ყურძნის უხვი მოსავლის მიღება. იგი სისტემატურად ზრუნავს იმისათვის, რომ ბრიგადის ყველა თეული წევრი საუკეთესოდ იყოს დაუფლებული ვაზის მოვლის აგროწესებს, ზუსტად ერკვეოდეს, როგორ უნდა შეუხამოს ეს წესები ადგილობრივ პირობებს.

ყურძნის მომავალი უხვი მოსავლისათვის ბრძოლას აჩალებენ, როგორც კი ვენახში რთველი მთავრდება. ბრიგადა სამქმეს ნიადაგის დამუშავებით იწყებს. ნიადაგს 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე ამუშავებს. ამ სამუშაოს ჩატარების დროს გათვალისწინებულია, რომ მიწა ვაზის ძირებს მიეყაროს, ამასთან ნიადაგის დამუშავება ფრთხილად წარმოებს, რათა ვაზის ფესვები არ დაზიანდეს.

ხალობეგაშვილის ბრიგადის წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვენახში სხვადასხვა მავნებლების გაჩენის აღსაკვეთად წინასწარი ღონისძიებების განხორციელებას. ამ მიზნით ვაზის ძირებს შემოდგომაზევე აცლიან ხმელ ტოტს და წამლობენ.

ვენახში ორგანული და მინერალური სასუქების თავის დროზე და საკმაო რაოდენობით შეტანა ყურძნის მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პირობაა. ამიტომ ბრიგადა ამ საქმესაც ჯეროვან ყურადღებას აქცევს. ვენახის შემოდგომაზე ღრმად დამუშავების წინ მასში შეაქვს გადამწვარი ნაკელი.

ზამთრის დღეები გაზაფხულისათვის მზადებაში გადის. ბრიგადირი და საუკეთესო მევენახეები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდებს. ზამთარშივე ხდება იმ მასალებისა და იარაღების მომზადება, რაც საჭიროა გაზაფხულზე ვენახში მუშაობისათვის.

გაზაფხულიდანვე ვენახში დიდ მუშაობას აჩაღებენ. ბრიგადირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვაზის წესიერად გასხვლას. გამოცდილი მევენახეები გასხვლის დროს თვითეულ ვაზზე სიძლიერის გათვალისწინებით ტოვებენ განსაზღვრული რაოდენობის რქებსა და კვირტებს. გასული წლის გაზაფხული ამ ბრიგადისათვის იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ საკოლმეურნეო ვენახის მთელი ფართობი შპალერზე გადაიყვანეს და ამით უფრო გაზარდეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობა.

ბრიგადა გაზაფხულზე კვლავ გულმოდგინედ ამუშავებს ნიადაგს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ვაზის ძირებს შემოდგომაზე მიყრილ მიწას ამჯერად აცლიან. ამ მომენტისათვის ვენახში ადგილობრივი მოთხოვნილების შესაბამისად შეაქვთ მინერალური სასუქი, რომელსაც დაუყოვნებლივ ჩახნავენ ნიადაგში.

შაბიამნით წამლობა, გოგირდის შეფრქვევა გაზაფხულზე ვაზის დაფოთლიანებიდან მოყოლებული 10-20 აგვისტომდე რამდენჯერმე ეწყობა. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებისას გათვალისწინებულია, როგორია ამინდები, როგორ ვითარდება ვაზი.

წირქოლელთა ვენახი ურწყავ ფართობზეა გაშენებული. ეს დამატებით სიძნელეებს ქმნის. გვალვების დროს მოსავალს საფრთხე რომ არ დაემუქროს, ხალობეგაშვილი ყოველგვარ ზომებს იღებს, რომ ნიადაგი მუდამ ფხვიერ მდგომარეობაში იქონიოს და ვენახში ტენის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობები შექმნას.

ვაზის ყვავილობის წინ 7-8 დღის დაშორიშორებით ორჯერ ახდენენ ვენახის შეწამვლას შაბიამნის ხსნარით. ყვავილობამდე ნარგავებს ითხნიან იმ ანგარიშით, რომ ყვავილობის მთელ პერიოდში საჭირო აღარ გახდეს ვენახის ნიადაგის დამუშავება. ვაზის ყლორტებს ისე განალაგებენ მავთულებზე, რომ ჯერ კიდევ ნორჩი და სუსტი მტევნები არ ჩაიხუთოს ფოთლებში და თავიდანვე უხვად იღებდეს მზის სხივებს. ეს მათი ნორმალური ზრდა-განვითარების აუცილებელი პირობაა.

ვაზის სიძლიერე რომ ამაოდ არ დაიკარგოს, მევენახეები ახდენენ ზედმეტი ყლორტებისა და ნამხრევების შეცლას და ყლორტების წვერების წაწყვეტას ყვავილობის დაწყების წინ.

წირქოლელთა ვენახი კარგად არის შემოღობილი, დაცული და ამით თავიდან აცილებულია ვაზის დაზიანება. ვენახში ლიკვიდირებულია სიმეჩხრე.

წირქოლელები დიდი ინტერესით გაეცნენ გასული წლის დეკემბერში ვენახების მოვლის გაუმჯობესების საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოწვეული თათბირის შედეგებს, თათბირზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვას. მევენახეებმა გადაწყვიტეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობანი და დარწმუნდნენ, რომ გასული წლის მაჩვენებელი (ჰექტარზე 110 ცენტნერი ყურძენი), სრულიადაც არ არის მაქსიმუმი. წირქოლელი მევენახეები ახალი წარმატებისათვის იბრძვიან.

ვ. გელაშვილი.

პარტორგანიზაცია იხილავს ვენახების დამუშავების საკითხს

სოფელ წყალაფორეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მსხვილი კოლმეურნეობაა ორჯონიკიძის რაიონში. ამ კოლმეურნეობის მთელი შემოსავლის ორ მესამედზე მეტს მევენახეობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს. კოლმეურნეობას 81,72 ჰექტარი ვენახი აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში ვენახების დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის საქმისადმი აქ სრულ უყურადღებობასა და დაუდევრობას იჩენდნენ, ყურძნის მოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა. 1951 წელს ყოველი ჰექტარი ვენახიდან გეგმით გათვალისწინებული 48 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 27 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ხოლო 1952 წელს — 25,7 ცენტნერი.

კოლმეურნეობის გამგეობა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ვენახების დამუშავების საქმეს. ეს მდგომარეობა მოურიდებლად ამხილეს კოლმეურნე კომუნისტებმა ამ დღეებში გამართულ პარტიულ კრებაზე, რომელიც მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მაღალი მოსავლის მიღების საკითხებს მიეძღვნა. პარტიულ კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ს. შარიქაძე. მთელი რიგი კონკრეტული მაგალითებით მან ცხადყო, რომ კოლმეურნეობაში უხეშად ირღვეოდა ვენახების დამუშავების აგროტექნიკური ვადები. ვენახების უმეტესობა ჯერ კიდევ შემოუღობავია და მას შინაური პირუტყვი ანადგურებს.

პარტიულ კრებაზე სიტყვით გამოსულმა კომუნისტმა მ. არჯევანიძემ აღიარა, რომ მოსავლელად მისთვის მიჩენილი 4.000 კვადრატული მეტრი ვენახი შემოუღობავია და შინაური პირუტყვისაგან ზიანდება.

კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ლოლაძემ, რომელიც კოლმეურნეობის ფერმის გამგედ მუშაობს, კრებაზე განაცხადა, რომ დღემდე ფერმის ეზოში 100 ტონამდე ნაკელია და ვენახებში მისი გატანისათვის არავინ ზრუნავს. მან გააკრიტიკა მევენახეობის მეორე ბრიგადა, სადაც ვენახების გასხვლა ამ საქმის უცოდინარ კოლმეურნეებს მიანდეს, რამაც ხელი შეუწყო ყურძნის მოსავლიანობის დაცემას.

მევენახეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა, კომუნისტმა გ. კავილაძემ აღიარა: იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში უყურადღებობას იჩენდნენ მევენახეობისადმი, ყურძნის მოსავლიანობა საგრძნობლად შემცირდა, ბრიგადაში 32,62 ჰექტარი ვენახია, აქედან მსხმოიარეა მხოლოდ 15 ჰექტარი. ვენახების საგრძნობი ნაწილი მოუვლელობის გამო დაკნინებულია. ამჟამად, როგორც მისი სიტყვებიდან გამოირკვა, ვენახების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებში ბრიგადა კვლავ ჩამორჩა, 7 ჰექტარამდე ვენახი გამოუხნავია, დაწყებული არ არის ვენახის ძირების გამობარვა.

წყალაფორეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ხიჯაკაძემ აღნიშნა, რომ ვაზის წესიერ გასხვლაზე დიდად არის დამოკიდებული ყურძნის მოსავლიანობის გადიდება. მაგრამ ამ მნიშვნელოვან საქმეს კოლმეურნეობაში ზოგჯერ ამ საქმის სავსებით უცოდინარ პირებს ანდობენ. მაგალითად, მევენახეობის მესამე ბრიგადაში (ბრიგადირი ა. ჭუმბაძე) კოლმეურნე მ. ჭონიშვილმა ერთი ჰექტარი ვენახი ძალიან ცუდად გასხლა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მევენახეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირმა ს. პაპიძემ, პარტბიუროს მდივანმა პ. ჭუმბაძემ, მერგოლურმა ვ. მაჭავარიანმა და სხვებმა. მათ კონკრეტული მაგალითებით ცხადყვეს, რომ კოლმეურნეობაში ვენახების დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

პარტიულმა კრებამ დასახა ქმედითი ღონისძიებანი ვენახების დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის საქმის გადაჭრით გასაუმჯობესებლად. კომუნისტებმა იკისრეს ყოველი ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახიდან 1953 წელს მიიღონ 70 ცენტნერი ყურძენი.

ს. მუმლაძე.

სამეცნიერო სესია მევენახეობის საკითხზე

კასპი. (საკ. კორ.). ცემენტის ქარხნის კულტურის სახლში მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის კოლმეურნეობათა მევენახეობის ბრიგადირები, მოწინავე მევენახეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგროტექნიკური პერსონალი.

სესიაზე მოსმენილ იქნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის პ. ბიბილაშვილის მოხსენება ვენახების მოვლა-დამუშავების მდგომარეობის შესახებ კასპის რაიონში.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ნ. სულხანიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „აგროღონისძიებანი ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებისათვის“. სესიაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები: „ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენება მევენახეობაში“, „ქართლში გავრცელებული ვაზის მავნებლები და მათთან ბრძოლის საშუალებები“, „ვაზის ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა“.

კაჭრეთელებმა უნდა გააუმჯობესონ ვენახების მოვლა

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობებში მევენახეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. სოფლის მეურნეობის ეს დარგი კოლმეურნეობებისათვის ფულადი შემოსავლის დიდი წყაროა. მიუხედავად ამისა, წლების მანძილზე ვენახის სამეუნაოები რაიონში ჩამორჩენილია. ბევრგან ამ სამუშაოებს ან სულ არ ატარებდნენ, ან თუ ასრულებდნენ, ვადების დიდი დარღვევით. ამ მიზეზით ყურძნის მოსავლიანობა შემცირებულია. მაგალითად, მევენახეობის 15 კოლმეურნეობაში შარშან ჰექტარზე მხოლოდ 24,9 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, გეგმა კი 45 ცენტნერს ითვალისწინებდა. მართალია, მევენახეობის საკითხებს ხშირად იხილავენ როგორც პარტიის რაიკომში, ისე რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე, მაგრამ ვენახების მოვლის საქმეში მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა. თუმცა ახალი ვენახები გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარის ნაცვლად 61 ჰექტარზე გაშენეს, მაგრამ იმას აღარ იღებენ მხედველობაში, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში დიდი ჩამორჩენაა. ასეა, მაგალითად, სოფელ მელაანის, არაშენდის, ჯიმითის, კაჭრეთისა და შიბლიანის კოლმეურნეობებში, ხოლო ქოდალოს კოლმეურნეობაში ახალი ვენახების გაშენებაზე სრულებით არ უზრუნველიათ.

კვლავ ჩამორჩება ვენახების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, ვენახების ნაწილი მოუხნავია, ძირებიც გამოუბარავია, სანახევროდაც არ არის შესრულებული მინერალური სასუქის შეტანის დავალება. მიივიწყეს ვაზის სიმეჩხრის სალიკვიდაციო ისეთი ღონისძიება, როგორიც არის გადაწვენა. ასეთ მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ კაჭრეთის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ვენახების დამუშავებას სასხვათაშორისო საქმედ თვლიან.

ვენახების დამუშავებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ბადიაურის მტს-მა (დირექტორი ვ. ზარდიაშვილი) გასულ წელს თავისი მომსახურების 6 კოლმეურნეობაში ნიადაგის დამუშავების გეგმა სანახევროდაც ვერ შეასრულა, ხოლო სოფელ კაკაბეთის ცხაკაიას სახელობის და ეროროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში ამ მხრივ არაფერი არ გაუკეთებია. ნაწილობრივ მტს-ის ხელმძღვანელთა დაუდევრობითაც აიხსნება, რომ შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ხუნაშვილი), სადაც 20 ჰექტარი ვენახია, ყურძნის მოსავლიანობის გეგმა არ შესრულებულა. აღსანიშნავია ისიც, რომ მევენახეობის ბრიგადები მათთვის გამოყოფილ მუშახელს ხშირად სხვა სამუშაოზე იყენებენ. მაგალითად, მევენახეობის ბრიგადის წევრს ზ. მასურაშვილს გამომუშავებული 190 შრომადღიდან 149 შრომადღე მემინდვრეობის ბრიგადაში აქვს დარიცხული. ასევე შეიძლება ითქვას მევენახეობის ბრიგადის წევრთა უმრავლესობაზე. ამასთან ბრიგადაში ვენახის სამუშაოები სათანადოდ არ სრულდება.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ყანდაურის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე ზ. დულარიძე). აქ გააჭიანურეს ხვნა და ვაზის ძირების გამობარვა. ამის მიზეზი ისიც არის, რომ დროზე არ შეიძინეს გუთნები, თვეობით გამოუყენებელია მუშა-პირუტყვი. გასულ წელს დაუდევრობის შედეგად ყანდაურელებმა გეგმის შესრულებას 1.872 ცენტნერი ყურძენი დააკლეს. მიუხედავად ამისა, ერთი წლის მანძილზე ვენახების საკითხებზე არც კი უმსჯელია კოლმეურნეობასთან არსებულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი ბ. ფარსადანოვი). სოფელ მახარაძის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში ვენახებს ნელი ტემპით ამუშავებენ, უმეტესი ნაწილი მოუხნავი და გამოუბარავია. მევენახეობის ბრიგადის 30 წევრიდან, რომლებსაც ს. ორველაშვილი ხელმძღვანელობს, 15 თუ იღებს მონაწილეობას მუშაობაში. ბრიგადას არა აქვს საჭირო ტრანსპორტი. ამიტომ ფერხდება ჭიგოს და სარის დამზადება. მოტანილი 20 ტონა მინერალური სასუქი ვენახში არ შეუტანიათ, რაც კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე ნ. მაზანაშვილი) ნაკლებად ადარდებს. პირიქით, აქ სიყალბეც დაუშვეს. თვალის აბეზვის მიზნით რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას აცნობეს, რომ მინერალური სასუქი 20 ჰექტარზეა შეტანილი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ვაზის შტამბის გასუფთავებას; ჭიგოს, სარისა და ბოძების დროზე მომარაგებას; ამ საქმეს ისიც აბრკოლებს, რომ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ჯერაც არ გამოუყვია ტყის ფართობი, სადაც შეიძლება ვაზის საყრდენი მასალის დამზადება.

პარტიის კაჭრეთის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მევენახეობის საკითხებს, მიიღწიონ მკვეთრ გარდატეხას ამ საქმეში.

ზ. ყაჯრიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ადამიანები და მათი საქმეები

ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატი

ძ. ალხანიშვილი

• • •

მევენახეობაში შესანიშნავი მუშაობით წლების მანძილზე დაწინაურდა სამტრესტის ხორსის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, კომკავშირელი აგროტექნიკოსი ქსენია ალხანიშვილი. მან 1952 წელს 15,13 ჰექტარი არასრულმოსავლიანი ურწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერისა 106,97 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის ყურძენი მოიყვანა, ზოგიერთ ნაკვეთზე კი 120 ცენტნერი.

რით მიაღწიეს ამ წარმატებას, როგორ გაადიდეს ყურძნის მოსავალი? უწინარეს ყოვლისა ვაზის გაშენებისა და მოვლის მაღალი აგროტექნიკის განხორციელებით, ბრიმის სწორი ორგანიზაციით, ძალთა გონივრული გამოყენებით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

სოფელ ანაგის რაიონის სოფელ ანაგის მკვიდრმა, კოლმეურნის შვილმა ქ. ალხანიშვილმა ახლო წარსულში დაამთავრა გორჯაანის რაიონის ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ტექნიკუმში მიღებული სასოფლო-სამეურნეო ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებით შეავსო.

ის ვენახი, რომელშიც შარშან განსაკუთრებით მაღალი მოსავალი მოიყვანეს, თვით ბრიგადირის ქ. ალხანიშვილის უშუალო მონაწილეობით არის გაშენებული. სავენახე ფართობი კარგად გაწმინდეს ძეძვისა და ბოჩქნარისაგან, შემდეგ კი შემოდგომაზე და გაზაფხულზე ტრაქტორით 60-65 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნეს. მიწა კარგად გაფხვიერეს და ვაზი 1948 წლის შემოდგომაზე, ნოემბერში დარგეს. გაშენებისას ვაზს კვების ხელსაყრელი პირობები შეუქმნის, მექანიზაციის ფართოდ გამოყენებისათვის მწკრივები ერთმანეთს 2 მეტრით დააშორეს, ხოლო მწკრივში კი ვაზი — 1,25 მეტრით. საშუალოდ ჰექტარზე შენარჩუნებულია 4.000 ძირი ვაზი.

ბრიგადამ სერიოზული ყურადღება მიაქცია აგრეთვე სარგავი მასალის ხარისხს — საკვირტეს და საძირეს შერჩევას, ადგილობრივ, თვით ამ მეურნეობაში გამოყვანილი სტანდარტული ნერგის გამოყენებას. რადგან აქაური ნიადაგი ჭარბად კირნარევია, საძირედ გამოყენებულ იქნა სპეციალურად შერჩეული ჯიშის ვაზი, ხოლო სანამყენედ რქაწითელის უხვმოსავლიანი ბუჩქების საკვირტე მასალა.

გაშენების პირველ წელსვე მევენახეებმა ხელი მოჰკიდეს პლანტაციის სიმეჩხრის ლიკვიდაციას რემონტის გზით. ახალშენის შემოწმებისას გამოირკვა, რომ ნარგავის გადარების პროცენტი 97,3 იყო. დანაკლისი შემოდგომაზე, ძლიერი ზრდის უნარის მქონე ნამყენის ჩარგვით შეავსეს, ალაგ-ალაგ კი 1952 წლის ნოემბერში უხვმოსავლიანი რქების გადაწიდვნით.

ვაზს გასხვლის საშუალებით 45-50 სანტიმეტრის სიმაღლის შტამბი და სასურველი ფორმა მისცეს, ამასთან მთელი ახალგაზრდა ნარგავი შპალერზე გადაიყვანეს, რაც ხელს უწყობს მოსავლიანობის 20-25 პროცენტით გადიდებას. ქარისაგან ვაზის უკეთ დაცვის საქმის გაადვილების, მუშახელის შემცირებისა და ყლორტების ნორმალური განვითარების მიზნით პირველი წვერი მავთული ცალფად შტამბის სიმაღლეზე გააბეს, მეორე და მესამე კი ორმაგად ისე, რომ შემდგომში განვითარებული ყლორტები მათ შორის ყოფილიყო მოთავსებული. ამავე დროს მეორე წვერი მავთული პირველზე 35-40 სანტიმეტრით მაღლა გააბეს, მესამე კი მეორეზე 50-60 სანტიმეტრით მაღლა.

გასულ წელს ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მზადება ბრიგადამ ჯერ კიდევ წინა წლის შემოდგომაზე დაიწყო. მინდვრად მუშაობის დაწყების წინ ხელმძღვანელმა მოიწვია ბრიგადის წევრთა საწარმოო თათბირი, გააცნო დავალება. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ სად, როდის და რა ღონისძიება განახორციელებინათ. ბრიგადირმა ისე მოაწყო ყველაფერი, რომ ამაღლებულიყო იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ ვენახის ჯეროვანი მოვლა, მოსავლიანობის სისტემატური ზრდა. ბრიგადაში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. აქ ასეთი წესია შემოღებული: ბრიგადირი არც ერთ სამუშაოს ისე არ იწყებს, თუ წინასწარ საუბარი, ახსნა-განმარტება არ მოაწყო. ჩვეულებრივად თათბირი შესვენებისას, დღის 1 საათზე ეწყობა. საუბარს თვით ბრიგადირი მართავს, რადგან იგი აგიტატორადაც არის გამოყოფილი.

ბრიგადამ 1951 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში თვითეულ ჰექტარზე შეიტანა 400-500 კილოგრამი კალიუმიანი და ფოსფოროვანი სასუქები, ფართობის ნაწილზე კი, ნიადაგის შემადგენლობის მიხედვით, ჰექტარზე 50 ტონა ნაკელი. ორგანული და მინერალური სასუქები ნიადაგის ზედაპირზე, თანაბრად გაანაწილეს, ვაზს ძირები გამოუბარეს და მწკრივთა შორის დარჩენილი 140 სანტიმეტრის სიგანის ზოლი ტრაქტორით წევის სავენახე გუთნით 23 სანტიმეტრის სიღრმეზე ნაღარად მოხნეს, ძირებს მიწა მიაყარეს.

მოწინავე მევენახე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვაზის ისეთ სამუშაოთა ზედმიწევნით ზუსტად და მაღალხარისხოვნად შესრულებას, როგორიც არის გასხვლა, მწვანე ოპერაციები და სხვ. ამ საქმეს ბრიგადირი ყოველთვის განსაკუთრებით დახელოვნებულ და გამოცდილ მუშაკებს ანდობს. იმის მიხედვით, თუ როგორი ამინდია, ვაზს სხლავენ კვირტების გამოწვევამდე, ე. ი. თებერვლის მეორე ნახევარში, ზოგჯერ უფრო ადრეც. თვითეულ ძირ ვაზს სხლავენ ორმხრივად ფორმირების ქართული წესით. თვითეულ ვაზს ინდივიდუალურად უდგებიან, მისი სიძლიერის შესაბამისად. ყოველ ბუჩქს უტოვებენ ორ-ორკვირტიან ორ სამამულე რქას და ორ სანაყოფოს 18-20 კვირტით, რადგან ვაზი მეტად ახალგაზრდაა. ყოველწლიური მიზანშეწონილი გასხვლით ბრიგადირი უზრუნველყოფს მოსავლიანობის განუწყვეტელ ზრდას.

გასხვლის შემდეგაც ვენახში მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდება. ბრიგადა აწყობს სარ-მავთულისა და ბოძების რემონტს, ცვლის უვარგისს, ავსებს დანაკლისს, ჭიმავს მავთულს, შემდეგ კი, ე. ი. გასხვლის, შესარვისა და შპალერის მოწყობის დამთავრებისთანავე, ანუ ადრე გაზაფხულზე, წვენის მოძრაობის დაწყებიდან კვირტების გაღვიძებამდე, ვაზის სანაყოფე ყლორტებისათვის ზრდის სასურველი პირობების შესაქმნელად ბრიგადა აწყობს აკვრას ანუ მავთულზე შეყელვას. ამავე დროიდანვე მევენახეებს თვითეულ ჰექტარზე შეაქვთ დაახლოებით 500 კილოგრამი აზოტოვანი ხასუქი და ვაზს კვლავ უთხნიან ძირებს, აცლიან შემოდგომაზე მიყრილ მიწას და მოხვნით აკეთებენ მწკრივთაშორისების ნაზურგს.

მაისის პირველი რიცხვებიდან ვაზის განვითარების მიხედვით ბრიგადა იწყებს მწვანე ოპერაციებს — გაფურჩქვნას, მოზარდ ყლორტებზე თავების ანუ წვეროების წაწყვეტას, ბოლოს კი, ივლისის დაახლოებით მეორე ნახევრიდან ანუ ზრდის შენელების პერიოდში, მტევნების უკეთ განვითარებისათვის ხელის შესაწყობად, მეტი სინათლისა და ჰაერისათვის, აგრეთვე მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან დაცვის გაადვილებისათვის თავების გადაჭრას. გაფურჩქვნის საშუალებით სანაყოფისა და სამამულის უკეთესი განვითარებისათვის ვაზს აცლიან ყველა ზედმეტ ყლორტსა და ნამხრევს. მევენახეები ყოველთვის დროზე აწყობენ ვაზის მოზარდი ნაწილების აკვრასაც.

ხორსელებმა გამოცდილებით იციან, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდა ვაზმა ხშირად იცის ყვავილის ცვენა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ბრიგადა კარგი დაყვავილებისა და მარცვლის შენარჩუნებისათვის ყლორტებს აცლის ზრდის კონუსს ანუ 5-6 სანტიმეტრის სიგრძის წვეროებს. ამ ღონისძიებას ყვავილობის დასაწყისში ახორციელებენ.

მოსავლიანობის გადიდებასა და მის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ვენახების ნიადაგის დროული დამუშავება. ნიადაგი ვაზის ძირებთან ყოველთვის ფხვიერია, რაც აადვილებს აერაციას, ტენის შენარჩუნებას და ნორმალურად გამოყენებას, ფესვებისა და მიწის ზედა ნაწილის განვითარებას. ვენახებს დაახლოებით 4-ჯერ თოხნიან, შემდეგ კი მწკრივთაშორის ამდენჯერვე აწყობენ კულტივაციას.

ბრიგადაში დიდ როლს ანიჭებენ ვაზის მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლას. ამ სამუშაოებს ყოველთვის უკავშირებენ როგორც ვაზის განვითარების მიმდინარეობას, ისე ამინდს. ჩვეულებრივად ვაზს შაბიამნის ხსნარს სეზონის განმავლობაში 6-ჯერ ასხურებენ, 4-ჯერ კი თვითმფრინავის საშუალებით გოგირდს აფრქვევენ. გოგირდის შეფრქვევა ყვავილობისა და მწიფობის პერიოდშიც კარგ შედეგს იძლევა.

შაბიამნის ხსნარის პირველ შესხურებას ვაზის ზრდა-განვითარებისთანავე აწყობენ, მეორეს — ყვავილობამდე, მესამეს — ყვავილობის შემდეგ და ა. შ. მაგრამ გასულ წელს გაზაფხულზე განსაკუთრებით ხშირი ნალექებისა და თბილი ამინდის გამო ვაზი მესამედ ყვავილობის პერიოდშიც ამავე ხსნარით შეწამლეს, რამაც ხელი შეუწყო მარცვლის ნორმალურად შენარჩუნებისა და მაღალი მოსავლის მიღებას.

ამჟამად ბრიგადას თავის განკარგულებაში აქვს 30 ჰექტარი 4 და 5-წლიანი ვენახი, რაც ორ რგოლს აქვს მიჩენილი. მევენახეობის დარგში მეხუთე სტალინური ხუთწლედით დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად ბრიგადა ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. ალხანიშვილის ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ სრულმოსავლიანი ურწყავი 15 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 120 ცენტნერი, ხოლო 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერი ყურძენი. ბრიგადაში მაღალნაყოფიერად მუშაობენ მერგოლური ვ. ჯალიაშვილი, სტახანოველი ვ. მათიაშვილი და სხვ.

ბრიგადამ დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულა ყველა სახის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაო ვენახებში და მით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მომდინარე წლის ყურძნის ბარაქიან მოსავალს.

— ჩვენ კარგად ვიცით, — აღნიშნავს ბრიგადირი ქ. ალხანიშვილი, — რომ უხვ მოსავალს მხოლოდ კარგად მოვლილი და დამუშავებული ვენახი იძლევა. ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია, პირობას უეჭველად შევასრულებთ. ვენახების მზრუნველობითი მოვლით ძვირფას საშობლოს უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მივცემთ საუკეთესო ხარისხის ყურძენს, წარმატებით ვიბრძოლებთ ჩვენი პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის ყველა დავალების სანიმუშოდ განხორციელებისათვის.

აგრ. ტ. თოდუაძე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გაზეთებმა შართოდ აღნიშნეს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 29-ე წლისთავი

ჩინეთი

შანხაი, 21 იანვარი. (საკდესი). შანხაის ყველა გაზეთი დღეს სტატიებს უძღვნის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 29-ე წლისთავს.

გაზეთი „ვენგუიბაო“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „ლენინის მიერ ნაჩვენები გზით“ წერს:

დიდ საბჭოთა ხალხთან ერთად ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის, მუშათა კლასის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ხსოვნის დღეს აღნიშნავენ მთელი დედამიწის მშრომელები. ლენინი მახლობელი და ძვირფასია მსოფლიოს ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანებისათვის. ლენინის დღეებს განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს ჩინელი ხალხი, რომელიც მტკიცედ მიდის ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. ახლა, როცა ჩვენი სამშობლო იწყებს ფართო ეკონომიკურ მშენებლობას, ლენინის რევოლუციურ მემკვიდრეობას ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ლენინი გვასწავლის, რომ სოციალიზმის მატერიალური ბაზაა მსხვილი სამანქანო ინდუსტრია. ლენინის მითითებათა თანმიმდევრულმა განხორციელებამ მისი საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაქცია მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ჩინელი ხალხი, რომელიც ასრულებს ლენინის მითითებებს და ბაძავს დიდი საბჭოთა კავშირის მაგალითს, იწყებს თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რადგან ესმის, რომ უინდუსტრიალიზაციოდ შეუძლებელია რევოლუციის გამარჯვების ნაყოფის შენარჩუნება და განმტკიცება.

ლენინი გვასწავლის, რომ სოციალისტური გარდაქმნა უნდა მოხდეს აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. ასრულებს რა ლენინის ამ მითითებას, საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს, საბჭოთა კავშირის წვრილმეურნეობა, ერთპიროვნული სოფლის მეურნეობა გადააქცია მძლავრ და აყვავებულ კოლექტიურ სოფლის მეურნეობად. ჩინელმა ხალხმა განთავისუფლების შემდეგ განვლილ სამ წელიწადში უდიდესი წარმატებანი მოიპოვა თავისი სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. მთელ ჩინეთში იზრდება და ვითარდება შრომითი ურთიერთდახმარების მრავალი ბრიგადა. ამჟამად ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა — ეს ბრიგადები ავაყვანოთ საწარმოო კოოპერაციებისა და შემდეგ კოლმეურნეობათა დონემდე.

ოცდაცხრა წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ ლენინის საქმე და ლენინის იდეების დიადი ყოვლისმძლე სული კვლავ ცოცხლობს დედამიწის მრავალ მილიონობით ადამიანის გულში. ჩვენს თვალწინ ხორციელდება ლენინის წინასწარხედვა. თავის დროზე ლენინმა გენიალური გამჭრიახობით განმარტა, რომ კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს ელექტროფიკაცია. ახლა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ანათებს საბჭოების ქვეყნის უდიდეს სივრცეებს კაშკაშა სხივი გიგანტური ელექტროფიკაციისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის წინამძღოლობით ახორციელებს. ეს სხივი აზიისა და ევროპის ქვეყნების ბევრი ხალხისათვის მომწოდებელი შუქურაა. სწორედ ამ გზით, რომელიც ლენინის გენიით არის გაშუქებული, აყვავებისა და პროგრესის გზით მიჰყავს ჩინელი ხალხი თავმჯდომარე მაო ძე-დუნს.

პოლონეთი

ვარშავა, 21 იანვარი. (საკდესი). პოლონელი ხალხი აღნიშნავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასების უდიდესი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

ყველა პოლონურმა ცენტრალურმა გაზეთმა დღეს პირველ გვერდზე მოათავსა ვლადიმერ ილიას-ძის გარდაცვალების 29-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები. გაზეთებმა „ტრიბუნა ლიუდუმ“, „გლოს პრა